



EcoVision/ეკოხედვა
2017

კავშირი მდგრადი განვითარებისათვის – “ეკოხედვა/ECOVISION” არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2001 წელს დაარსდა. კავშირის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება.

ორგანიზაციის მისია: გრძელვადიანი ხედვისა და მენტალიტეტის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენების პოლიტიკის დანერგვა და ამით ადამიანის უარყოფითი ზემოქმედების შემცირება ბუნებაზე, საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა, მდგრადი განვითარებისთვის გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა.

ორგანიზაციის მიზნები: მდგრადი განვითარების კონცეფციების დანერგვა, განახლებადი და სუფთა ენერჯის, როგორც ენერჯის ალტერნატიული წყაროს პოპულარიზაცია, საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების უზრუნველყოფა, სხვადასხვა დაცული ტერიტორიის შექმნაში მონაწილეობა, რაც მოიცავს ბიომრავალფეროვნების, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტა საზოგადოების მონაწილეობით, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვით და ადგილობრივი ადამიანური რესურსების გამოყენებით, მათი პროფესიული და პრაქტიკული შესაძლებლობის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს ეკოლოგიური გამოწვევების წარმატებით დაძლევის შესაძლებლობას. მოზარდების გარემოსდაცვითი განათლების დონის გაუმჯობესება და ცნობიერების ამაღლება, გარემოსდაცვითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

ორგანიზაციას “ეკოხედვა/ECOVISION” დაარსების დღიდან, გარემოს დაცვის სფეროში, შესრულებული აქვს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული 50-ზე მეტი პროექტი.

საგანმანათლებლო კამპანია „დაზოგე წყალი“ – gwp ოლიმპიადა

2017 წელი: ეროვნული საგანმანათლებლო კამპანიაა, რომლის საპილოტე პროექტი ვარკეთილის რაიონის 16 სკოლაში, 3 თვის განმავლობაში, არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოხედვასთან“ ერთად განხორციელდა. აღნიშნული სკოლების მოსწავლეებმა გაიარეს საგანმანათლებლო ტრენინგები, gwp ოლიმპიადის ფარგლებში ერთმანეთს წყლის დაზოგვასა და ეკოვიქტორინაში შეეჯიბრნენ, ასევე წყლის დაზოგვის საინფორმაციო კამპანიას ჩაატარეს. გამარჯვებული სკოლის გუნდი ეკობანაკის „ეკოხედვა 2017“ საგზურით დაჯილდოვდა.

გარემოსდაცვითი ტრენინგები ახალგაზრდებისთვის

2015-2017 წლები: ევროპის ფონდის ორგანიზებით, არასამთავრობო ორგანიზაციამ „ეკოხედვა/EcoVision“ „ახალგაზრდული იდეის“ 360 წევრისთვის გამართა

ტრენინგები გარემოსდაცვით საკითხებზე. ტრენინგების მანძილზე ახალგაზრდებმა შეიძინეს ახალი ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ისეთ საკითხებზე, როგორცაა ენერგოეფექტურობა, ჰაერის დაბინძურება, წყლის რესურსების მართვა, კლიმატის ცვლილებები, ნარჩენების მართვა, ბიომრავალფეროვნება, ეკოტურიზმი და ა.შ. მათ ასევე ჩაუტარდათ მასტერკლასები ნარჩენებთან დაკავშირებით. შეხვედრის მონაწილეებმა დაამზადეს მეორადი ქაღალდი. ტრენინგების ბოლოს დასახელდნენ ყველაზე აქტიური მონაწილეები, რომლებიც ეკობანაკის „ეკოხედვა“ 1-კვირიანი საგზურებით დაჯილდოვდნენ.

ხულოში ჩატარდა ტრენინგი ტყეების მნიშვნელობის შესახებ

2017 წლის 11 მაისს, არასამთავრობო ორგანიზაციამ „ეკოხედვა/EcoVision“ ჩატარა ტრენინგი ტყეების მნიშვნელობის შესახებ ხულოს მუნიციპალიტეტის 12 საჯარო სკოლის პედაგოგებისა და გამგეობის თანამშრომლებისთვის. ტრენინგი ჩატარდა პროექტის „აჭარის სკოლების ცნობიერების ამაღლება ტყის დაცვის მიზნით“ ფარგლებში, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) დაფინანსებით. პროექტის სლოგანია „გადაარჩინე ხე, შეინარჩუნე ტყე!“

აჭარის რეგიონი შეირჩა იმიტომ, რომ არის ყველაზე მოწყვლადი რეგიონი, სადაც ხშირად ხდება ბუნებრივი კატასტროფები. ასევე, აღნიშნულ რეგიონში ხშირია ტყეების დაავადებების შემთხვევები.

ტრენინგის მონაწილე პედაგოგებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია პროექტის „SPARE“ (ენერჯისა და რესურსების გამოყენების საერთაშორისო სასკოლო პროექტი) შესახებ. აღნიშნულ 12 სკოლაში შეიქმნა ეკოკლუბები. ეკოკლუბებს გადაეცათ სპეციალური აღჭურვილობა (ელექტრონული მიკროსკოპები, საველე დურბინები, მზის დამტენები, თერმომეტრები, ციფრული ფოტოაპარატები), ასევე, ბრენდირებული მაისურები, კეპები და ჩანთები. ტრენინგის მონაწილე გამგეობის თანამშრომლებს გადაეცათ ბრენდირებული მაისურები, კეპები და ჭიქები.

პროექტის ფარგლებში, ბიომრავალფეროვნების დღის აღსანიშნავად, ასევე, მოეწყო ეკოტურები მაჭახელას ეროვნულ პარკში. აღნიშნული 12 სკოლის 120-მა მოსწავლემ და 12-მა პედაგოგმა, დაცული ტერიტორიების რეინჯერებთან ერთად დალაშქრა 4-კილომეტრიანი ბილიკი და ასევე მოისმინა ლექცია დაცული ტერიტორიების და მაჭახელას ეროვნული პარკის შესახებ.

ბიომრავალფეროვნების დღის აღსანიშნავად ეკოტური მოეწყო

2016 წლის 21-22 მაისს, ბიომრავალფეროვნების დღის აღსანიშნავად (22 მაისს ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღეა) ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო ეკოტური სკოლის მოსწავლეებისთვის. ეკოტური KfW - გერმანიის განვითარების ბანკის, არასამთავრობო ორგანიზაციის „ეკოხედვა/EcoVision“ და კავკასიის ბუნების ფონდის (CNF), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებითა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერით ჩატარდა, კამპანიის „დასუფთავების დღე არის ყოველდღე“ ფარგლებში.

საზაფხულო ეკობანაკი „ეკოხედვა“ სკოლის მოსწავლეთათვის

2015-2016 წლის ივნისიდან სექტემბრამდე, კოლხეთის, ბორჯომ-ხარაგულისა და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე, მოეწყო საზაფხულო ეკობანაკები არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოხედვას/EcoVision“ ორგანიზებითა და „მოქალაქეს“ მხარდაჭერით. ბანაკებში მონაწილეობა მიიღო 700-მდე სკოლის მოსწავლემ - გადაცემის „ეკოვიზია“ ვიქტორინის, პროექტის „SPARE“ კონკურსის, ორგანიზაციის „მოქალაქე“ სამოქალაქო ოლიმპიადისა და „ეკოხედვას/EcoVision“ მიერ გამართული სხვადასხვა კონკურსისა და ეკოვიქტორინის გამარჯვებულმა ბავშვებმა.

გადაცემა „ეკოვიზია“

2012 – 2016 : ყოველკვირეული საბავშვო გარემოსდაცვითი გადაცემა „ეკოვიზია“ (დამფინანსებლები: ნორვეგიის ბუნების დაცვის საზოგადოება/დედამიწის მეგობრები - ნორვეგია, GIZ და SIDA).

“ეკოახალგაზრდები პანკისის ხეობისთვის“

2016 წელი - “ეკოახალგაზრდები პანკისის ხეობისთვის“ - პანკისის ხეობის 7 საჯარო სკოლაში ეკო-კლუბების ჩამოყალიბება, პანკისის ხეობის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარება შემდეგ გარემოსდაცვით თემებზე - ნარჩენების მდგრადი მართვა, ბიომრავალფეროვნება, კლიმატის ცვლილება და ენერგოეფექტურობა, ეკოკლუბების ჩამოყალიბება და ფუნქციონირება სკოლებში, პროექტების წერა. (დაფინანსებული - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; „სასკოლო ინიციატივების წახალისების“ ქვეპროგრამა)

SPARE (School Project for Application of Resources and Energy)

2002 წლიდან დღემდე: მდგრადი განვითარების კავშირი – “ეკოხედვა/ECOVISION”, ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით 2002 წლიდან საქართველოში ახორციელებს საერთაშორისო სასკოლო პროექტს - SPARE (School Project for Application of Resources and Energy), რომლის მთავარი მიზანია ენერგოდაზოგვისა და ენერგოეფექტურობის, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პრინციპების სწავლება და დანერგვა სკოლებსა და სკოლების მეშვეობით საზოგადოებაში. დღეისთვის SPARE მსოფლიოს 20-მდე ქვეყანაში ხორციელდება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ენერგოდაზოგვისა და ენერგოეფექტურობის საკითხებთან დაკავშირებით ხორციელდება პრაქტიკული ღონისძიებები ადგილობრივ თემებში. ყოველწლიურად ტარდება სემინარები, ტრენინგები და პრაქტიკული მეცადინეობები. გამოიცა პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის მომზადებული

სახელმძღვანელოები, სამუშაო რეგულაციები, რომლებიც განათლების სამინისტროს, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ დამტკიცებულია და შეტანილია სკოლებში ფაკულტატური სახით. ორგანიზაციის ინიციატივით პროექტის ფარგლებში შეიქმნა თამაშების სერიები ბავშვებისთვის, რომლის მეშვეობით ისინი ეცნობიან ძირითად საკითხებს და იძენენ ძირითად უნარ-ჩვევებს ენერგოეფექტურობის, ენერგოდაზოგვის და ასევე კლიმატის ცვლილების შესახებ. ამჟამად, SPARE პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს საქართველოში 80 ეკო-კლუბის დაარსება. პროექტი ხორციელდება ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ნორვეგიის ბუნების დაცვის საზოგადოების/დედამიწის მეგობრები - ნორვეგია და GIZ-ის ფინანსური მხარდაჭერით.

ეკო-ახალგაზრდობა - გარემოსდაცვითი ცნობიერების კამპანია საქართველოს 4 მთავარ რეგიონულ ქალაქის უნივერსიტეტში

2011 - ეკო-ახალგაზრდობა - გარემოსდაცვითი ცნობიერების კამპანია საქართველოს 4 მთავარ რეგიონულ ქალაქის უნივერსიტეტში: ბათუმში, ქუთაისში, თელავსა და ახალციხეში. (დაფინანსებულია აშშ-ს საელჩოს მიერ საქართველოში)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „საზაფხულო სკოლების“ პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ დაფინანსების ფარგლებში პროექტის „ეკობანაკი 2017“

განხორციელების დეტალური აღწერა/ხედვა

ზოგადი:

კავშირი მდგრადი განვითარებისათვის „ეკოხედვა/EcoVision“ იღებს ვალდებულებას განათავსოს 1500 მოსწავლე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული სიის თანახმად, სალიბაურის # 2 სკოლა-პანსიონის ბაზაზე. ეკობანაკი ჩატარდება 10 ნაკადად, თითო ნაკადაში მონაწილეობას მიიღებს 150 მოსწავლე (I ნაკადი: 9 ივლისი - 15 ივლისი; II ნაკადი: 15 ივლისი - 21 ივლისი; III ნაკადი: 21 ივლისი - 27 ივლისი; IV ნაკადი: 27 ივლისი- 2 აგვისტო; V ნაკადი: 2 აგვისტო - 8 აგვისტო; VI ნაკადი: 8 აგვისტო- 14 აგვისტო; VII ნაკადი: 14 აგვისტო - 20 აგვისტო; VIII ნაკადი: 20 აგვისტო - 26 აგვისტო; IX ნაკადი: 26 აგვისტო- 1 სექტემბერი; X ნაკადი: 1 სექტემბერი-10 სექტემბერი).

150 კაციანი ნაკადი დაიყოფა ექვს 25 კაციან ჯგუფებად. თითოეულ გუნდზე მიმდგომი იქნება 1 ლიდერი ტრენერი და 2 მანდატური. ტრენერები პასუხისმგებელი იქნებიან პროექტის საგანმანათლებლო-შემეცნებითი და გასართობი

პროგრამის განხორციელებაზე (ჯამში თითო 150 კაცთან ნაკადზე მიმაგრებული იქნება 6 ტრენერი-ლიდერი და 12 მანდატური). ბანაკის მონაწილე ბავშვების უსაფრთხოებაზე და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მანდატურის სამსახური.

საზაფხულო ეკობანაკი უზურუნველყოფილი იქნება სპორტული ინვენტარით, საკანცელარიო საქონლით, ტექნიკური საშუალებებით, პირველადი სამედიცინო დახმარების ნივთებით და მედიკამენტებით.

ბაზაზე განთავსება

ადმინისტრაციული ასისტენტის დახმარებით მონაწილეები გაივლიან რეგისტრაციას და მათ მონაცემებზე დაყრდნობით მოხდება ბავშვების გადანაწილება ოთახებში (ბანაკის მონაწილე გოგონებისა და ბიჭებისთვის გამოყოფილი იქნება ცალკე-ცალკე ფლიგელები, თავისი საშხაპეებით და ჰიგიენური წერტილებით).

ოთახებში განთავსების შემდეგ, მოსწავლეები შეიკრიბებიან სააქტო დარბაზში, სადაც ბანაკის ლიდერები მიაწვდიან ინფორმაციას ბანაკის შინაგანაწესის და ქცევის შესახებ, აღნიშნული წესები ბავშვებმა უნდა დაიცვან 7 დღის განმავლობაში.

ბანაკში განსახორციელები აქტივობები იმგვარადაა განაწილებული, რომ მონაწილეებს არ რჩებათ ბევრი თავისუფალი დრო. საგანმანათლებლო-შემეცნებითი და სპორტულ-გასართობი აქტივობების მიმდინარეობა მკაცრად კონტროლდება ტრენერი-ლიდერების, მანდატურების და ადმინისტრაციული ასისტენტის მიერ.

ეკობანაკის პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისთვის აუცილებელი პირობაა ბანაკის შინაგანაწესის დაცვა, რომლის დარღვევის შემთხვევაში პირველ ეტაპზე მონაწილე მიიღებს გაფრთხილებას, ხოლო განმეორების შემთხვევაში მონაწილე ავტომატურად დატოვებს ბანაკს.

პროექტის მენეჯერი, ადმინისტრაციული ასისტენტი, ტრენერი-ლიდერები და მანდატურები მუდმივად იქნებიან უწყვეტი კომუნიკაციის რეჟიმში, ყოველი ქმედება იქნება ურთიერთშეთანხმებული.

არაფორმალური განათლება გარემოსდაცვითი მიმართულებით

საზაფხულო ეკობანაკში ჩატარდება ტრენინგები შემდეგი გარემოსდაცვითი მიმართულებებით:

- ბიომრავალფეროვნება - საქართველოს დაცული ტერიტორიები

- ნარჩენების მდგრადი მართვა;
- კლიმატის ცვლილება - ენერგოეფექტურობა;
- წყალი რესურსები და ჰაერის დაბინძურება;
- ბუნებრივი კატასტროფები;
- ეკოკლუბები და სამოქმედო გეგმა.

ტრენინგები ხელს შეუწყობს სკოლის მოსწავლეებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამღვლელებს და უზრუნველყოფს გარემოსდაცვით თემების პოპულარიზაციას მოზარდებში. 1 კვირის განმავლობაში მოსწავლეებს ყოველდღე ჩაუტარდებათ 6 ტრენინგი ზემოთაღნიშნულ გარემოსდაცვით თემებზე. თითოეული მონაწილე მოისმენს 6 გარემოსდაცვით თემას. ტრენინგი მოიცავს როგორც საგანმანათლებლო-ლექციურ მასალას, ასევე პრაქტიკულ სამუშაოებს თითოეულ თემაზე.

ბანაკის პროგრამა უზრუნველყოფს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას მოზარდებში სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მეშვეობით. მოსწავლეები ჩაერთვებიან სხვადასხვა სპორტულ და ინტელექტუალურ ღონისძიებებსა და აქტივობებში, ჩატარდება შეჯიბრები, კონკურსები, თეატრალური პერფორმანსები, კარაოკ საღამოები და გუნდის შემკვრელი თამაშები. ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობებს განახორციელებენ გუნდების ტრენერი-ლიდერები მანდატურების დახმარებით.

ბანაკის პროგრამა მოიცავს 4 ექსკურსიას: ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ბათუმის დელფინარიუმი, ბათუმის დათვალიერება და სტუმრობა აკვარიუმში, ბათუმის სანაპიროზე გასეირნება და ცურვა. ბათუმის სანაპიროზე სტუმრობის დროს უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით ჩართული იქნება ბათუმის სამაშველო სამსახური.

შემეცნებით-გასართობი აქტივობების დეტალური 7 დღიანი პროგრამა

I დღე	
დრო	ღონისძიება
15:00-16:00	ჩამოსვლა
16:00-17:00	სადილი
17:00-18:00	განთავსება / პირველადი ინსტრუქციები
18:00-18:30	ბანაკის წესების გაცნობა
18:30-20:00	დასვენება/ჯგუფების ფორმირება

20:00-21:00	ვახშამი
21:00-21:30	გაცნობითი თამაში ჯგუფებში
21:30-22:00	პერფორმანსების თემების გადანაწილება ჯგუფებში
22:00-23:00	მეგობრობის ყუთის პრეზენტაცია/კითხვარის შევსება/მოლეკულები
23:00	ძილი/დასვენება

II დღე	
დრო	ღონისძიება
8:00-8:15	ადგომა/მოწესრიგება
8:15-9:00	დილის ვარჯიში
9:00-10:00	საუზმე
10:00-13:00	ზღვაზე გასვლა: 1,2,3 ჯგუფი; ექსკურსია ბათუმსა და აკვარიუმში: 4,5,6 ჯგუფი.
13:00-14:00	თავისუფალი დრო პერფორმანსების მოსამზადებლად
14:00-15:00	სადილი
15:00-16:00	თავისუფალი დრო პერფორმანსების მოსამზადებლად
16:00-18:00	ტრენინგები: 1 ჯგუფი - ბიომრავალფეროვნება/დაცული ტერიტორიები + პრაქტიკული სამუშაო; 2 ჯგუფი - ნარჩენების მდგრადი მართვა + პრაქტიკული სამუშაო; 3 ჯგუფი - კლიმატის ცვლილება/ენერგოეფექტურობა + პრაქტიკული სამუშაო; 4 ჯგუფი - წყლის რესურსები და ჰაერის დაბინძურება + პრაქტიკული სამუშაო; 5 ჯგუფი - ბუნებრივი კატასტროფები + პრაქტიკული სამუშაო; 6 ჯგუფი - ეკოკლუბები და სამოქმედო გეგმა + პრაქტიკული სამუშაო.
18:00-19:00	თამაში: „ფარდა“ სავარჯიშო: „თქვენ არ იცით ჩემს შესახებ რომ ...”
19:00-20:00	ვახშამი
20:00-22:00	თამაში „ამაზონი”
22:00-23:00	მეგობრობის ყუთის გახსნა
23:00	ძილი/დასვენება

III დღე	
დრო	ღონისძიება
8:00-8:15	ადგომა/მოწესრიგება
8:15-9:00	დილის ვარჯიში
9:00-10:00	საუზმე
10:00-13:00	ზღვაზე გასვლა: 4,5,6, ჯგუფი; ექსკურსია ბათუმსა და აკვარიუმში: 1,2,3 ჯგუფი.
13:00-14:00	თავისუფალი დრო პერფორმანსების მოსამზადებლად
14:00-15:00	სადილი
15:00-17:00	ტრენინგები: 2 ჯგუფი - ბიომრავალფეროვნება/დაცული

	ტერიტორიები + პრაქტიკული სამუშაო; 3 ჯგუფი - ნარჩენების მდგრადი მართვა + პრაქტიკული სამუშაო; 4 ჯგუფი - კლიმატის ცვლილება/ენერგოეფექტურობა + პრაქტიკული სამუშაო; 5 ჯგუფი - წყლის რესურსები და ჰაერის დაბინძურება + პრაქტიკული სამუშაო; 6 ჯგუფი - ბუნებრივი კატასტროფები + პრაქტიკული სამუშაო; 1 ჯგუფი - ეკოკლუბები და სამოქმედო გეგმა + პრაქტიკული სამუშაო.
17:00-19:00	თავისუფალი დრო პერფორმანსების მოსამზადებლად
19:00-20:00	ვახშამი
20:00-23:00	პერფორმანსები
23:00	ძილი/დასვენება

IV დღე	
დრო	ღონისძიება
8:00-8:15	ადგომა/მოწესრიგება
8:15-9:00	დილის ვარჯიში
9:00-10:00	საუზმე
10:00-14:00	ექსკურსია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში: 1,2,3,4,5,6 ჯგუფი.
14:00-15:00	სადილი
15:00-16:00	თავისუფალი დრო/დასვენება
16:00-18:00	ტრენინგები: 3 ჯგუფი - ბიომრავალფეროვნება/დაცული ტერიტორიები + პრაქტიკული სამუშაო; 4 ჯგუფი - ნარჩენების მდგრადი მართვა + პრაქტიკული სამუშაო; 5 ჯგუფი - კლიმატის ცვლილება/ენერგოეფექტურობა + პრაქტიკული სამუშაო; 6 ჯგუფი - წყლის რესურსები და ჰაერის დაბინძურება + პრაქტიკული სამუშაო; 1 ჯგუფი - ბუნებრივი კატასტროფები + პრაქტიკული სამუშაო; 2 ჯგუფი - ეკოკლუბები და სამოქმედო გეგმა + პრაქტიკული სამუშაო.
18:00-20:00	თავისუფალი დრო
19:00-20:00	ვახშამი
20:00-22:00	კარაოკე
22:00-23:00	მეგობრობის ყუთის გახსნა
23:00	ძილი/დასვენება

V დღე	
დრო	ღონისძიება
8:00-8:15	ადგომა/მოწესრიგება
8:15-9:00	დილის ვარჯიში
9:00-10:00	საუზმე
10:00-12:00	ტრენინგები: 4 ჯგუფი - ბიომრავალფეროვნება/დაცული ტერიტორიები + პრაქტიკული სამუშაო; 5 ჯგუფი - ნარჩენების მდგრადი მართვა + პრაქტიკული სამუშაო; 6 ჯგუფი - კლიმატის ცვლილება/ენერგოეფექტურობა + პრაქტიკული სამუშაო; 1

	ჯგუფი - წყლის რესურსები და ჰაერის დაბინძურება + პრაქტიკული სამუშაო; 2 ჯგუფი - ბუნებრივი კატასტროფები + პრაქტიკული სამუშაო; 3 ჯგუფი - ეკოკლუბები და სამოქმედო გეგმა + პრაქტიკული სამუშაო.
12:00-14:00	თამაში „ხიდები“
14:00-15:00	სადილი
15:00-17:00	ტრენინგები: 5 ჯგუფი - ბიომრავალფეროვნება/დაცული ტერიტორიები + პრაქტიკული სამუშაო; 6 ჯგუფი - ნარჩენების მდგრადი მართვა + პრაქტიკული სამუშაო; 1 ჯგუფი - კლიმატის ცვლილება/ენერგოეფექტურობა + პრაქტიკული სამუშაო; 2 ჯგუფი - წყლის რესურსები და ჰაერის დაბინძურება + პრაქტიკული სამუშაო; 3 ჯგუფი - ბუნებრივი კატასტროფები + პრაქტიკული სამუშაო; 4 ჯგუფი - ეკოკლუბები და სამოქმედო გეგმა + პრაქტიკული სამუშაო.
17:00-21:00	დიდი ეკოთამაში
21:00-22:00	ვახშამი
22:00-23:00	მეგობრობის ყუთის გახსნა/დავალება - შემოქმედებითი აქტივობები ტრენინგებზე განხილულ გარემოსდაცვით თემებზე
23:00	ძილი/დასვენება

VI დღე	
დრო	ღონისძიება
8:00-8:15	ადგომა/მოწესრიგება
8:15-9:00	დილის ვარჯიში
9:00-10:00	საუზმე
10:00-12:00	ტრენინგები: 6 ჯგუფი - ბიომრავალფეროვნება/დაცული ტერიტორიები + პრაქტიკული სამუშაო; 1 ჯგუფი - ნარჩენების მდგრადი მართვა + პრაქტიკული სამუშაო; 2 ჯგუფი - კლიმატის ცვლილება/ენერგოეფექტურობა + პრაქტიკული სამუშაო; 3 ჯგუფი - წყლის რესურსები და ჰაერის დაბინძურება + პრაქტიკული სამუშაო; 4 ჯგუფი - ბუნებრივი კატასტროფები + პრაქტიკული სამუშაო; 5 ჯგუფი - ეკოკლუბები და სამოქმედო გეგმა + პრაქტიკული სამუშაო.
12:00-14:00	თამაში „ხალიჩები“
14:00-15:00	სადილი
15:00-16:00	თავისუფალი დრო/დასვენება
16:00-19:00	ექსკურსია ბათუმის დელფინარიუმში
19:00-20:00	ვახშამი
20:00-23:00	მეგობრობის ყუთის გახსნა/გამოსამშვიდობებელი ღონისძიება
23:00	ძილი/დასვენება

VII დღე	
დრო	ღონისძიება
8:00-8:15	ადგომა/მოწესრიგება
8:15-9:00	დილის ვარჯიში
9:00-10:00	საუზმე
11:00-13:00	კითხვარის შევსება
13:00-14:00	სადილი
15:00	გამგზავრება

საგანმანათლებლო ტრენინგების მოდულები

ხანგრძლივობა - 2 საათი

- ტრენინგი - ბიომრავალფეროვნება/პრაქტიკული თამაშები - 1 საათი
- საქართველოს დაცული ტერიტორიები/პრაქტიკული თამაშები - 1 საათი

ტრენინგი # 1 „ბიომრავალფეროვნება“

ხანგრძლივობა - 1 საათი

მიზანი: გააცნოს სამიზნე ჯგუფებს ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა, აუხსნას რატომ არის აუცილებელი ბიომრავალფეროვნების დაცვა, მიაწოდოს ინფორმაცია რა საფრთხეების წინაშეა დღეს მსოფლიო და მათ შორის საქართველოს ბიომრავალფეროვნება. გააცნოს რა ბუნებრივ მემკვიდრეობას ფლობს საქართველო და რატომ ითვლება ბიომრავალფეროვნების კუთხით ერთ-ერთ ყველაზე „ცხელ“ ეკო-რეგიონად. გაუზიაროს პრაქტიკული რჩევები რა უნდა გააკეთოს ახალგაზრდობამ და ზოგადად საზოგადოებამ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის.

წარდგენა - 3 წუთი

ტრენინგის მეთოდოლოგია

ტრენერი წარადგენს თავს, ასახელებს სესიის თემას და ტრენინგზე გასავლელი მასალის მთავარ თეზისებს.

აქტივობა #1 - „ბრენშორმინგი“- 5 წუთი

თემატური კითხვები

- რა არის ბიომრავალფეროვნება?
- რა კატეგორიებად ყოფენ ბიომრავალფეროვნებას?
- რა იწვევს ბიომრავალფეროვნების შემცირებას? ჩამოთვალეთ მიზეზები

აქტივობა #2 პრეზენტაცია - ბიომრავალფეროვნება - 20 წუთი

განსახილველი თემები

- ბიომრავალფეროვნების კომპონენტები
- რა იწვევს ბიომრავალფეროვნების კარგვას დედამიწაზე
- საქართველოს წითელი ნუსხა
- საერთაშორისო კონვენციები ბიომრავალფეროვნების შესახებ

აქტივობა #2 თამაში - „კვებითი ჯაჭვი“- 20 წუთი

აღწერა: მონაწილეები დგებიან წრეზე. ტრენერი ურიგებს მათ ფურცლებზე ამობეჭდილ ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების შემადგენელ ნაწილებს - სურათებს (მზე, წყალი, ნიადაგი, მცენარე, ცხოველი, ფრინველი, ადამიანი და ა.შ. სურათები გათვლილია მონაწილე ბავშვების რაოდენობაზე, თითო სურათი თითოეული მონაწილისათვის.) და აძლევს თოკის გორგალს. მონაწილე თოკის ბოლოს იტოვებს და გადასცემს გორგალს მონაწილეს ან მონაწილეებს, რომელ(ებ)იც რაიმე ფორმით მნიშვნელოვანია მისი სიცოცხლისათვის. ამგვარად იქმნება ერთგვარი ქსელი, რომელიც ეკოსისტემის ნაწილებს შორის სასიცოცხლო კავშირებს აჩვენებს. მონაწილეები ტრენერის დახმარებით დაინახავენ ამ კავშირებს, განსაზღვრავენ თუ როგორ არის მათი შემადგენელი ნაწილები (სურათები დარიგებული ტრენერის მიერ) ბუნებაში ერთმანეთთან დაკავშირებული და როგორ ქმნის საერთო კვებით ჯაჭვს, რომელის დარღვევაც იწვევს ბუნებაში დისბალანსს. (მცენარეს სჭირდება მზე, ნიადაგი და წყალი გასაზრდელად, მცენარეს ჭამს მწერი, მწერს ცხოველი, ცხოველს ადამიანი და ა.შ) ასევე მოხდება იმის დემონსტრირება, თუ როგორი დამანგრეველი შედეგი შეიძლება ქონდეს ეკოსისტემაში ამა თუ იმ კომპონენტის ამოვადნას (მონაწილე ხელს გაუშვებს თავის თოკებს).

შეჯამება - 10 წუთი

რატომ უნდა დავიცვათ ბიომრავალფეროვნება - განვლილი თემის განმტკიცება

რომ შევინარჩუნოთ ჯანსაღი ეკოსისტემა უნდა გამოვყოთ მთავარი ასპექტები

- ბიოლოგიური ასპექტი (ქმნის სასიცოცხლო გარემოს დედამიწაზე, უზრუნველყოფს წყლისა და კლიმატის რეგულაციას, მაგ - ტყე)
- ეკონომიკური ასპექტი - ბიომრავალფეროვნება არის ერთ-ერთი მთავარი რესურსი ადამიანებისთვის (საკვები რესურსი, სამედიცინო რესურსი და ა.შ.)
- მორალური ასპექტი - ვალდებულება შევინარჩუნოთ ბიომრავალფეროვნება, ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობა და სახეობები, იმისთვის რომ ვიცხვროთ ჯანსაღ გარემოში და ვუზრუნველყოთ ყველა ცოცხალი ორგანიზმის არსებობა დედამიწაზე.

შესვენება

-

10

წუთი

ტრენინგი #2 - საქართველოს დაცული ტერიტორიები

ხანგრძლივობა - 1 საათი

მიზანი - გააცნოს სამიზნე ჯგუფს საქართველოს დაცული ტერიტორიები და მიაწოდოს ინფორმაცია რა შესაძლებლობებები აქვს საქართველოს „ეკოტურიზმის“ განვითარებისთვის. ახალგაზრდებში ეკოტურიზმისა და საქართველოს დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია

აქტივობა # 1 - ენერჯაიზერი - 5 წუთი

„მიწა, ცა და წყალი“

აღწერა - ტრენერი ბავშვებს წრეზე აყენებს და უხსნის წესებს. როცა ტრენერი იტყვის სიტყვას “ მიწა “ - ბავშვები ერთდროულად იკუზებიან და იატაკს ადებენ ხელს, როცა ამბობს „ცა“ ბავშვები ერთდროულად ხტებიან და ჰაერში წევენ ხელს, როცა ამბობს წყალი - ბავშვებმა ერთდროულად ხელის მოძრაობით ჰაერში უნდა გამოსახონ წყალი.

აქტივობა # 2 - ბრეინშტორმინგი - 5

თემატური კითხვები

- რა არის დაცული ტერიტორია?
- დაცული ტერიტორიების რომელი კატეგორიები გვაქვს საქართველოში?
- რა არის ეკოტურიზმი?

აქტივობა #3 პრეზენტაცია საქართველოს დაცული ტერიტორიები

ხანგრძლივობა - 25 წუთი

- რისთვის იქმნება დაცული ტერიტორიები
- რით არის უნიკალური საქართველოს დაცული ტერიტორიები
- რა კატეგორიის დაცული ტერიტორიები გვხვდება საქართველოში და რით განსხვავდება ერთი მეორისგან
- რა უქმნის საფრთხეს დაცულ ტერიტორიებს

ვიდეო - საქართველოს დაცული ტერიტორიები

აქტივობა #4 ჯგუფური სამუშაო: ბავშვების მოკლე პრეზენტაციები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე - 15 წუთი

აღწერა - ტრენერი ბავშვებს დაყოფს 5 მცირე ჯგუფად და პრეზენტაციის მოსამზადებლად დაურიგებს ანოტაციებს საქართველოს 5 სხვადასხვა დაცული ტერიტორიის შესახებ. ბავშვებმა არსებული მასალის საფუძველზე უნდა მოამზადონ და ტრენინგის მსვლელობის დროს წარმოადგინონ მოკლე პრეზენტაციები მათთვის მიცემული დაცული ტერიტორიის შესახებ, ისე რომ იყოს საინტერესო და აუდიტორიისთვის ადვილად დასამახსოვრებელი.

აქტივობა # 5 ჯგუფური სამუშაო თამაში: გამოიცანი საქართველოს დაცული ტერიტორიები - 10 წუთი

აღწერა - ტრენერი ბავშვებს დაყოფს 5 მცირე ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს დაურიგებს პატარა ფერად ფურცლებს კითხვებზე პასუხების დასაწერად. ეკრანზე გავა საქართველოს სხვადასხვა დაცული ტერიტორიების ფოტოები (უნდა იყოს ისეთი ფოტო შერჩეული, რომ ბავშვს შეძლებისდაგვარად გაუადვილდეს ტერიტორიის გამოცნობა) ტრენერი დასვამს კითხვას თუ რომელი დაცული ტერიტორიაა ეკრანზე მოცემული. ბავშვები ფერად ფურცლებზე დაწერენ პასუხებს. თამაშის ბოლოს ტრენერი შეამოწმებს პასუხებს და გამოავლენს თუ რომელმა ჯგუფმა

დააგროვა ყველაზე მეტი სწორი პასუხი. თამაშის საშუალებით ბავშვები მიიღებენ ინფორმაციას დაცული ტერიტორიების შესახებ და გაერკვევიან თუ რომელი დაცული ტერიტორიების მონახულება შეუძლიათ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში სტუმრობისას.

ტრენინგის დასასრული - ვიდეო ქართული სუბტიტრებით „ბუნება ლაპარაკობს“ – 3 წუთი

ნარატორი - ჯულია რობერტსი

მომზადებული - „ Conservation International”

ქართული თარგმანი - არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოხედვა“

<p>ტრენინგისთვის საჭირო მასალები</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროექტორი • ლეპტოპი • მარკერები • ფლიპჩარტის ქაღალდი • კალმები • ფერადი სტიკერები • ბიომრავალფეროვნების კატეგორიებისთვის საჭირო ფერადი ფოტოების ამობეჭდვა • „კვებითი ჯაჭვის“ თამაშის ფოტოების ამობეჭდვა (25 ფოტო) • 5 მოკლე ამობეჭდილი ანოტაცია საქართველოს სხვადასხვა დაცული ტერიტორიების შესახებ.
--------------------------------------	---

ტრენინგი - „ბუნებრივი კატასტროფები“ - ხანგრძლივობა 2 საათი

- სესია #1 - ინფორმაცია ბუნებრივი კატასტროფების შესახებ - 45 წუთი
- სესია #2 - სიმულაციები / ქცევის წესები - 45 წუთი

სესია #1 თეორიული ნაწილი - ბუნებრივი კატასტროფები

ხანგრძლივობა - 45 წუთი

მიზანი: გააცნოს სამიზნე ჯგუფებს ბუნებრივი კატასტროფების მნიშვნელობა, მიაწოდოს ინფორმაცია რა სახის ბუნებრივი კატასტროფები არსებობს, ამათგან

რომელია საქართველოში უფრო მეტად მოსალოდნელი და რა არის მათი გამომწვევი მიზეზები. გაუზიაროს პრაქტიკული რჩევები, თუ რა უნდა გააკეთონ სხვადასხვა კატასტროფის დროს, როგორი უნდა იყოს მაქსიმალური უსაფრთხოების წესების დაცვითი ქცევა.

წარდგენა - 1 წუთი

ტრენინგის მეთოდოლოგია

ტრენერი წარადგენს თავს, ასახელებს სესიის თემას და ტრენინგზე გასავლელი მასალის მთავარ თეზისებს.

აქტივობა #1 - „ბრეინშტორმინგი“ - 5 წუთი

- რომელი ბუნებრივი კატასტროფები იცით?
- რომელი ბუნებრივი კატასტროფა გახსენდებათ უახლოესი წარსულიდან?
- თქვენი აზრით რით შეიძლება იყოს გამოწვეული კატასტროფები?
- რომელი ბუნებრივი კატასტროფების საშიშროებაა საქართველოში?

თეორიული მასალის ახსნა - ინფორმაცია ბუნებრივი კატასტროფების შესახებ (პრეზენტაცია) - 15 წუთი

ტრენერი ბავშვებს გააცნობს ბუნებრივი კატასტროფების გამომწვევ მიზეზებს: კლიმატის ცვლილება, ამინდის ცვლილება (ტემპერატურის ზრდა, ჭარბი ნალექი), ადამიანური ჩარევა (არასწორი მშენებლობა, ტყეების გაჩეხვა). გააცნობს ბუნებრივი კატასტროფების თავისებურებებს: მიწისძვრა, მეწყერი, ღვარცოფი, წყალდიდობა, ზვავი, ქარები, ხანძარი, გვალვა. იმსჯელებენ თუ როგორ შეიძლება მათი პრევენცია, რა შეიძლება გააკეთოს ადამიანმა იმისათვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები ბუნებრივი კატასტროფა მოხდეს.

აქტივობა #2 - ბრეინშტორმინგი - 5 წუთი

- როგორ უნდა მოვიქცეთ მიწისძვრის დროს?
- როგორ უნდა მოვიქცეთ ხანძრის დროს?
- როგორ უნდა ვიმოქმედოთ წყალდიდობის, წყალმოვარდნის დროს?

თეორიული მასალის ახსნა - ინფორმაცია ბუნებრივი კატასტროფების დროს მოქცევის წესების შესახებ (პრეზენტაცია) - 20 წუთი

ტრენერი ხსნის თუ როგორ უნდა მოიქცნენ ადამიანები კრისიზულ მომენტებში. მიწისძვრის დროს, სად უნდა შეაფარონ თავი, რა ნივთებით შეიძლება თავის დაცვა, სად როდის ყოფნა უფრო უსაფრთხო, რა უნდა წაიღონ სახლიდან გასვლის დროს და რა თანმიმდევრობით უნდა იმოქმედონ; ხანძრის შემთხვევაში როგორ უნდა გადაადგილდნენ ოთახში, როგორ უნდა დაიცვან სასუნთქი გზები მავნე ჰაერის შესუნთქვისგან, სად უნდა დარეკონ და როგორ უნდა დატოვონ შენობა, თუ ეს შესაძლებელია, რა ნივთები დასჭირდებათ იმისათვის რომ ცეცხლი მაქსიმალურად ნელა გავრცელდეს; წყალდიდობის დროს, როგორ უნდა დააღწიონ თავი შენობიდან და რა უნდა წაიღონ თან; რა მიმართულებით უნდა იმოძრაონ მეწყერის დროს; ძლიერი ქარის შემთხვევაში სად უნდა შეაფარონ თავი თუ ქუჩაში იმყოფებიან, როგორ უნდა დაიცვან თვალები, როგორ უნდა მოიქცნენ მანქანაში ყოფნის დროს და ა.შ.

აქტივობა # 3- ენერჯაიზერი #1 - 15 წუთი

სესია #2 - პრაქტიკული ნაწილი/სიმულაციები

აქტივობა #4 - ინტერაქტივი 15 წუთი

მიწისძვრა:

- რა უნდა ჩავაწყოთ სამაშველო ჩანთაში?
- სად უნდა დავდეთ მძიმე ნივთები, რომლებიც სახლში გვაქვს?
- რატომ უნდა გამოვცვალოთ კარის და კარადის მოძველებული საკეტები?
- რა უნდა გავაკეთოთ, თუ მიწისძვრის დროს სახლში/შენობაში ვართ?
- რა უნდა ჩავიცვათ ფეხზე, როდესაც მიწისძვრის შემდეგ სახლს ვტოვებთ?
- რა უნდა წავიღოთ თან, როდესაც მიწისძვრის შემდეგ სახლს ვტოვებთ?

ხანძარი:

- სად უნდა დავანთოთ კოცონი?
- რისგან უნდა გავწმინდოთ მცენარეები სახლთან ახლოს, რომ დავიცვათ სახანძრო უსაფრთხოების წესები?
- რა უნდა გავაკეთოთ თუ ხანძარი შენობაში გაჩდება?
- რა უნდა გავაკეთოთ, თუ რომელიმე ელექტრო ხელსაწყოს ცეცხლი უკიდია?
- როგორ უნდა დავტოვოთ აღმოდებული და გაკვამლული შენობა?
- როგორ უნდა ჩავაქროთ აღმოდებული ტანსაცმელი?
- რა უნდა ავიფაროთ სახეზე, რომ ცეცხლმოკიდებულ და გაკვამლულ შენობაში სუნთქვა გაგვიადვილდეს?

მეწყერი:

- რა მიმართულებით უნდა ვიმოძრაოთ მეწყერის დროს?
- სად უნდა წავიდეთ მეწყერის ჩამოწოლის შემთხვევაში?
- რითი უნდა ვიმოძრაოთ მეწყერთან დაკავშირებული ევაკუაციის დროს?

ქარიშხალი:

- რას არ უნდა მივუახლოვდეთ ქარიშხლის დასრულების შემდეგ?
- რა უნდა გავაკეთოთ თუ ქარიშხალმა მანქანაში მოგვისწრო?
- რა უნდა გავაკეთოთ თუ ქარიშხალმა ბუნებაში მოგვისწრო და დაცულ ადგილს თავს ვერ ვაფარებთ?
- რა უნდა გავაკეთოთ თუ ქარიშხალმა ქუჩაში მოგვისწრო?
- რა უნდა გავაკეთოთ თუ ქარიშხალმა შენობაში მოგვისწრო?

წყალდიდობა/წყალმოვარდნა:

- რა უნდა გავაკეთოთ, როდესაც წყალდიდობის დროს შენობაში/სახლში ვართ?
- სად უნდა შევავაროთ თავი წყალდიდობის დროს?
- რა უნდა გავაკეთოთ წყალდიდობისას თუ მანქანაში ვსხედვართ?
- რა უნდა გავაკეთოთ თუ ევაკუაციის დროს წყალი უკვე მუხლამდეა?

აქტივობა #5 - მიწისძვრის სიმულაცია - 15 წუთი

აღწერა: ტრენერი ჩართავს განგაშის ზარს, რომელიც მიწისძვრის მაუწყებელია, მოსწავლეებმა უნდა მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები, თუ რა თანმიმდევრობით უნდა იმოქმედონ. პირველ რიგში უნდა დაიმალონ მაგიდების ქვეშ, ჩაეჭიდონ მის ფეხს, ან დაიფარონ თავზე მყარი ნივთები, მიწისძვრის დამთავრების შემდეგ (1-2 წუთის შემდეგ) უნდა აიღონ პირველადი დახმარების ყუთი, ფანარი და მოხრილ მდგომარეობაში, დაცული თავით უნდა დატოვონ ოთახი ჩამწკრივებულებმა, მშვიდი ნაბიჯებით.

აქტივობა #6 - ხანძრის სიმულაცია - 15 წუთი

აღწერა: დაირეკება განგაშის ზარი, რომელიც ხანძრის მაუწყებელია. მოსწავლეებმა პირველ რიგში უნდა დარეკონ 112-ში. შემდეგ უნდა დაასველონ ნაჭრები ან პირსახოცები და პირზე აიფარონ, ხოხვით უნდა გადაადგილდნენ, დახურონ ყველა კარი და ფანჯარა რომ არ შემოვიდეს ბევრი ჟანგბადი. უნდა ჩააქრონ შუქი და გამორთონ ყველა ელექტრონული მოწყობილობა. კარის ზღურბლსა და ნაპრალებს ამოქოლავენ სველი ნაჭრებით, კვამლი რომ არ შემოვიდეს. წყლით აგრილებენ იატაკსა და კარებს.

ენერჯაიზერი #2 - 15 წუთი

<p>ტრენინგისთვის საჭირო მასალები</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროექტორი • ლეპტოპი • რვეულები • მარკერები • კალმები • ნაჭრები/პირსახოცები • წყალი • პირველადი დახმარების ყუთი • ფანრები
---	--

თემატური სესიები

ხანგრძლივობა - 2 საათი

ტრენინგი: როგორ დავაფუძნოთ ეკოკლუბი

მიზანი: სამიზნე ჯგუფებს მიაწოდოს ცოდნა ქვემოთ ჩამოთვლილ თემატიკაზე და ხელი შეუწყოს შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას:

- გარემოში არსებული პრობლემები და პასუხისმგებლობა
- როგორ შეიძლება სკოლის მოსწავლეებმა წვლილი შეიტანონ გარემოსდაცვითი პრობლემების შერბილებაში / გადაჭრაში
- როგორ შეიძლება გარემოსდაცვითი ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება კლუბური საქმიანობით
- როგორ დავაფუძნოთ ახალგაზრდების არაფორმალური გაერთიანება სკოლის ბაზაზე
-

სემინარის გახსნა: 3 წუთი

მისალმება, ტრენერის წარდგენა; სემინარის თემის, მიზნების, განსახილველი საკითხებისა და მეთოდოლოგიის წარდგენა (3 წთ)

შესავალი: 15 წუთი

პრობლემები (საცხოვრებელ) გარემოში და მათზე პასუხისმგებლობა

- „ბრეინშტორმინგი“ თემაზე - პრობლემები (საცხოვრებელ) გარემოში (10 წთ)
კითხვები: არის თუ არა თქვენს (საცხოვრებელ) გარემოში რაიმე ისეთი, რაც გაწუხებთ, ან რაც ჯანმრთელობისთვის საზიანოა? უსიამოვნოა?
- დისკუსია თემაზე - ვინ არის ამ პრობლემებზე პასუხისმგებელი (დამნაშავე და მოგვარებაზე პასუხისმგებელი, შესაძლებელია თუ არა მოსწავლეთა ჯგუფმაც შეიტანოს წვლილი გარემოს გაუმჯობესებაში)

ინტერაქტიული პრეზენტაცია: 25 წუთი

ეკოკლუბი როგორც არაფორმალური სასკოლო გაერთიანება გარემოსდაცვითი საკითხების ირგვლივ

- რა არის ეკოკლუბი (არაფორმალური სასკოლო გაერთიანების მიზნები და ამოცანები, რას აძლევს იგი მოსწავლეს და საზოგადოებას)
- ეკოკლუბის სტრუქტურა და ფუნქციების განაწილება
- ეკოკლუბის ატრიბუტები
- წარმატებული ეკოკლუბების გამოცდილება საქართველოდან თემის შეჯამება და ჯგუფური სამუშაოსთვის მომზადება

შესვენება:

„ეჯერჯაიზერი“ - 15 წუთი

ჯგუფური სამუშაო: 42 წუთი

როგორ დავაფუძნოთ ეკოკლუბი

ჯგუფი დაიყოფა 5 კაციან მინი-ჯგუფებად. რომელთა ამოცანაა ჩამოაყალიბონ წარმოსახვითი ეკოკლუბი აუცილებელი ატრიბუტები: სახელი, სტრუქტურა, წევრების სია, მთავარი სამუშაო მიმართულება, სამოქმედო გეგმა 1 წლიანი; ჯგუფები გააკეთებენ, მოკლე 2-3 წუთიანი პრეზენტაციებს.

სემინარის დასრულება: 10 წუთი

სამუშაოს შეჯამება და რეკომენდაციები

ტრენინგისთვის საჭირო მასალები	<ul style="list-style-type: none">• პროექტორი• ლეპტოპი• მარკერები• ფლიპჩარტის ქაღალდი• დაფა 2 ცალი• კალმები• ფერადი სტიკერები• თვალსაჩინოებები
-------------------------------	---

ტრენინგი - „კლიმატის ცვლილება და ენერგოეფექტურობა“ - ხანგრძლივობა 2 საათი

- სესია # 1 - ინფორმაცია კლიმატის ცვლილებასა და ენერგოეფექტურობაზე
- სესია # 2 - პრაქტიკული სავარჯიშოები.ვიდეო გაკვეთილები. (ფანჯრების დათბუნება
- კედლების დათბუნება

- მზის ენერჯის გამოყენება
- ქარის ენერჯის გამოყენება
- ენერჯო ეფექტური დანადგარების გამოყენების სწავლება

მიზანი: გააცნოს სამიზნე ჯგუფებს კლიმატის ცვლილების მნიშვნელობა, მიაწოდოს ინფორმაცია რა საფრთხეების წინაშეა დღეს მსოფლიო და მათ შორის საქართველო კლიმატის ცვლილების კუთხით. ასწავლოს და გაუზიაროს პრაქტიკული რჩევები რა უნდა გააკეთოს ახალგაზრდობამ და ზოგადად საზოგადოებამ კლიმატის ცვლილების პრევენციისათვის. გარდა ამისა ბავშვები მიიღებენ ინფორმაციას ენერჯო ეფექტურობაზე, როგორც კლიმატის ცვლილების ერთ - ერთ ყველაზე ეფექტურ პრევენციაზე, ასევე მათი კომფორტის გაუმჯობესებაზე და ფინანსების ეფექტურ ხარჯვაზე.

წარდგენა - 2 წუთი

ტრენერი წარადგენს თავს, ასახელებს სესიის თემას და ტრენინგზე გასავლელი მასალის მთავარ თეზისებს.

გაცნობითი თამაში - 20 წუთი

ტრენინგის დაწყებამდე მონაწილეების გასაცნობად ტრენერი ბავშვებს ათამაშებს გაცნობით თამაშს.

ბავშვები დგებიან წრეზე. ტრენერი უხსნის თამაშის წესებს. თითოეულმა ბავშვმა და ტრენერმა ხმამაღლა უნდა თქვას თავისი სახელი და ასევე დაასახელოს ყველაზე უცნაური ან დასამახსოვრებელი შემთხვევა რაც გადახდენია. თამაშის მონაწილეები უსმენენ ერთმანეთს ყურადღებით და შემდეგ თითოეული მონაწილე იმეორებს იმ ფაქტებს რაც ბავშვებმა თამაში დროს დაასახელეს.

აქტივობა #1 - „ბრეინშტორმინგი“ - 5 წუთი

- რა არის კლიმატის ცვლილება?
- კლიმატის ცვლილება მითი თუ რეალობა?
- რა საფრთხეების წინაშეა დღეს მსოფლიო და მათ შორის საქართველო კლიმატის ცვლილების კუთხით?
- რა წინ მსწრები მექანიზმები შეიძლება ავამუშაოთ კატასტროფული შედეგების თავიდან ასაცილებლად?

თეორიული მასალის ახსნა - ინფორმაცია კლიმატის ცვლილებასა და ენერჯოეფექტურობაზე (პრეზენტაცია) - 30 წუთი

- რას ნიშნავს სათბურის ეფექტი?
- რა როლი აქვს ადამიანს კლიმატის ცვლილების დაჩქარებულ პროცესში?
- რა მოხდება თუ სათბურის აირების გაფრქვევას არ შევამცირებთ?
- კლიმატის ცვლილება და საქართველო.

ენერჯაიზერი - „მოლეკულა“

მოთამაშეები დგებიან არეულად, ირთვება მუსიკა, ტრენერი ეუბნება, რომ იმოდროს და იცეკვონ. რამდენიმე წუთის შემდეგ წამყვანი შეაჩერებს მუსიკას და იტყვის რომელიმე ციფრს მაგ: „3“ ამ დროს თითოეული მონაწილის მიზანია მოძებნოს დანარჩენი ორი და შეიკრას სამკაცთან ჯგუფად. ვინც ჯგუფში 3-ზე მეტი ან ნაკლები იქნება გამოეთიშება თამაშს. ასე გაგარძელებს გამარჯვებულის გამოვლენამდე.

პრაქტიკული მასალის ახსნა - ვიდეო გაკვეთილები. ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა შეგვიძლია გავაკეთოთ თითოეულ ჩვენგანს პრობლემის მოგვარებაში წვლილის შესატანად

თემები:

- ფანჯრების დათბუნება
- კედლების დათბუნება
- მზის ენერჯის გამოყენება
- ქარის ენერჯის გამოყენება
- ენერჯო ეფექტური დანადგარების გამოყენების სწავლება

თემატური სესია

ხანგრძლივობა - 2 საათი

- ტრენინგი - ნარჩენების მდგრადი მართვა - 1 საათი
- პრაქტიკული სავარჯიშო - მეორადი ქაღალდის დამზადება -1 საათი

ტრენინგი # 1 „ნარჩენების მდგრადი მართვა“

ხანგრძლივობა - 1 საათი

მიზანი: გააცნოს სამიზნე ჯგუფებს რას ნიშნავს ნარჩენების მდგრადი მართვა და რატომ არის საჭირო მისი პრინციპების დანერგვა, ასწავლოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, მისცეს საშუალება თავად განასხვავოს ნარჩენი და ნაგავი, აუხსნას რა საფრთხეს უქმნის გარემოს, ცოცხალ ორგანიზმებს და ადამიანს. გაუზიაროს სხვა ქვეყნების გამოცდილება, მისცეს პრაქტიკული რჩევები რა უნდა

გაკეთონ ნარჩენის შემცირებისთვის. დაეხმაროს სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში ნარჩენებთან დაკავშირებით.

წარდგენა - 3 წუთი

ტრენერი წარადგენს თავს, ასახელებს სესიის თემას და ტრენინგზე გასავლელი მასალის მთავარ თეზისებს.

ტრენინგის მეთოდოლოგია

აქტივობა #1 - „ბრენშორმინგი“ - 5 წუთი

თემატური კითხვები

- ✓ რა სახის ნარჩენები გროვდება ყოველდღიურად სახლში, სკოლაში, საწარმოში?
- ✓ ნაგავი თუ ნარჩენი? რა განსხვავებაა მათ შორის?

აქტივობა #2 თამაში - „ნაგავი თუ ნარჩენი“ - 5წუთი

აღწერა: ტრენერი მსმენელებს დაყოფს 5 კაციან ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს მისცემს ფორმატებს, სთხოვს ჩამოწერონ რა არის მათი აზრით ნაგავი და რა არის ნარჩენი. სემინარის ბოლოს მიღებული ინფორმაციის შედეგად მონაწილეებს ეძლევათ შესაძლებლობა შეიტანონ ცვლილებები.

აქტივობა #3 თამაში - „დახარისხება“ - 5წუთი

აღწერა: ტრენერი მსმენელებს დაყოფს 5 კაციან ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს მისცემს სხვადასხვა სახის ნარჩენით სავსე კონტეინერს და სთხოვს, დაახარისხონ ნარჩენი.

აქტივობა #4 პრეზენტაცია - ნარჩენების მდგრადი მართვა - 20 წუთი

განსახილველი თემები

- თანამედროვე სამყარო, მოსახლეობის ზრდა, მზარდი მოთხოვნები და გამოწვევები
- ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემა
- ნარჩენების მართვის ძირითადი ფორმა საქართველოში
- ჯარიმები

შეჯამება - 10 წუთი

რა არის ნარჩენი?

რას ნიშნავს 3R?

როგორ შევამციროთ ნარჩენების რაოდენობა?

რას ნიშნავს ნარჩენების ხელახალი გამოყენება?

რა არის რეციკლირება?

რას ნიშნავს ნარჩენების სეპარაცია?

რა კავშირშია ნარჩენების გადამუშავება რესურსების დაზოგვასთან?

ვიდეო: ნარჩენებზე <https://www.youtube.com/watch?v=73sGgmZoMBQ>

მასალა: ბროშურები - კომპოსტირება საოჯახო პირობებში, ნარჩენების გადამუშავება, ნარჩენების დახარისხება.

შესვენება - 10 წუთი - ენერჯაიზერი

პრაქტიკული სავარჯიშო - მეორადი ქაღალდის დამზადება -1 საათი

ტრენერი დეტალურად უხსნის როგორ დაამზადონ მაკულატურისგან მეორადი ქაღალდი.

მონაწილეები იყოფიან მცირე ჯგუფებად (5 ჯგუფი 5 ადამიანის შემადგენლობით) და თითოეული მათგანი ტრენერის ინსტრუქტაჟით ამზადებს მეორად ქაღალდს.

<p>ტრენინგისთვის საჭირო მასალები</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროექტორი • ლეპტოპი • მარკერები • ფლიპჩარტის ქაღალდი • მაკულატურა • ხის ჩარჩო ბადით 5 ცალი • ბლენდერი • კონტეინერები • პირსახოცი • საშრობი ქსოვილი • უთო • ფენი
---	--

წყლის რესურსები დედამიწაზე

- ტრენინგი #1 წყლის რესურსები დედამიწაზე
- ტრენინგი # 2 პრაქტიკული სამუშაოები

ხანგრძლივობა - 1 საათი

მიზანი: გააცნოს სამიზნე ჯგუფებს რა მნიშვნელობა აქვს წყალს დედამიწაზე არსებული ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის. რას ნიშნავს წყლის რესურსების მდგრადი მოხმარება და რატომ უნდა დაზოგოთ წყალი. აუხსნას ბავშვებს, რომ დედამიწას კი უწოდებენ „ლურჯ პლანეტას“, მაგრამ მიუხედავად ამისა, მტკნარი იგივე სასმელად ვარგისი წყალი ძალიან ცოტაა და მას დაზოგვა და გაფრთხილება სჭირდება. მიაწოდოს ინფორმაცია წყლის დაბინძურების წყაროების შესახებ და გაუზიაროს პრაქტიკული რჩევები რა უნდა გააკეთონ ახალგაზრდებმა და ზოგადად საზოგადოებამ ყოველდღიურ ცხოვრებაში წყლის დაზოგვის მიზნით.

წარდგენა

ტრენერი წარადგენს თავს, ასახელებს სესიის თემას და ტრენინგზე გასავლელი მასალის მთავარ თეზისებს.

პრეზენტაცია წყლის რესურსები დედამიწაზე და მათი მნიშვნელობა სიცოცხლისთვის

ტრენინგის მეთოდოლოგია

აქტივობა #1 ბრეინშტორმინგი - წყლის რესურსები დედამიწაზე

თემატური კითხვები

- დედამიწის ტერიტორიის დაახლოებით რა ნაწილს შეადგენს წყალი?
- პლანეტის წყლის რესურსების რა ნაწილს შეადგენს მტკნარი წყალი?
- როგორ ხდება წყლის წრებრუნვა დედამიწაზე?
- სად გვხვდება მტკნარი წყალი დედამიწაზე და მის რამდენ პროცენტს ვიყენებთ ჩვენ?
- რამდენ პროცენტ წყალს შეიცავს ადამიანის ორგანიზმი?

მასალის ახსნა

ბრენშტორმინგის და ბავშვების პასუხების შემდეგ, ტრენერი ინფორმაციის განმტკიცების მიზნით, მათ უხსნის, რომ დედამიწაზე მტკნარი წყლის მარაგი ძალიან ცოტაა, დაახლოებით 3 %-ზე ნაკლებია, თუმცა 3 %-ს ჩვენ ვერ ვიყენებთ, რადგან მტკნარი წყლის 3 % -ის უდიდესი ნაწილი პოლარული ყინულებია, რომელზეც ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება, დაახლოებით 22% - ი მიწისქვეშა წყლებია, რომელსაც ვიყენებთ, თუმცა არა სრულად. რჩება 1 % -ზე ნაკლები, რომლის გამოყენებაც შეგვიძლია და ეს არის დედამიწის ზედაპირული წყლები (ტბები, მდინარეები, ნაკადულები და ა.შ.).

ტრენერი ასევე აუხსნის ბავშვებს რომ წყლის დაზოგვა იგივე წყლის რესურსების გონივრული მოხმარება არ ნიშნავს, იმას რომ ჩვენ წყალზე როგორც საჭირო რესურსზე უარი უნდა ვთქვათ. წყლის დაზოგვა გულისხმობს იმას, რომ ჩვენ ვზოგავთ წყლის იმ ნაწილს რომელიც არ გვჭირდება, რადგან ხშირ შემთხვევაში წყალი არამიზნობრივად და უყაირათოდ იხარჯება.

დასკვნა - მტკნარი იგივე სასმელად ვარგისი წყალი დედამიწაზე ძალიან ცოტაა, ამიტომ უნდა დავზოგოთ და გავუფრთხილდეთ. *წყლის სასმელ პროდუქტად გადაქცევას კი ბევრი დრო, ადამიანური და ფინანსური რესურსი სჭირდება.*

ვიდეო - წყალი დედამიწაზე

<https://www.youtube.com/watch?v=OiVwfAPSEH8>

აქტივობა # 2 წყლის წრებრუნვა დედამიწაზე

ტრენერის ბავშვებს უხსნის როგორ ხდება წყლის წრებრუნვა დედამიწაზე და რომ ეს არის უწყვეტად მიმდინარე პროცესი ჩვენ პლანეტაზე.

წვიმის 1 წვეთის შესქმნელად წყლის მილიონობით წვეთია საჭირო.

აქტივობა # 3 წყლის რესურსების გადანაწილება და მოხმარება დედამიწაზე

- წყლის განსხვავებული ხელმისაწვდომობა და მოხმარება (რატომ მოიხმარენ წყლის განსხვავებულ რაოდენობას დედამიწის სხვადასხვა წერტილში. შედარებისთვის ავიღებთ დედამიწის სხვადასხვა რეგიონში მდებარე ადგილებს. მაგალითისთვის - მალი, საქართველო, ამერიკა და გერმანია. მათ მაგალითებზე გავარკვევთ საშუალოდ რა რაოდენობის წყალს მოიხმარს

ყოველდღიურად 1 სული მოსახლე ამ ქვეყნებში და რა არის წყლის განსხვავებული მოხმარების მიზეზი.

- წყლის მოხმარება და დაბინძურება საოჯახო პირობებში. ტრენერი ბავშვებთან ერთად განიხილავს ყოველდღიურად რაში მოიხმარენ წყალს საოჯახო პირობებში. ასევე ჩამოთვლიან დაახლოებით რა რაოდენობის წყალს მოიხმარენ ყოველდღიურად სხვადასხვა საქმიანობის განსახორციელებლად.

აქტივობა # 4 წყლის დაბინძურების წყაროები

ბრეინშტორმინგი წყლის დაბინძურების წყაროების შესახებ

- ჩამოთვალეთ რა არის წყლის დაბინძურების წყაროები (საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ჩამდინარე წყლები (კანალიზაცია, სამრეწველო ნარჩენები, კარიერები) პესტიციდები (სოფლის მეურნეობა), ნავთობით დაბინძურება (ზღვები და ოკეანეები)
- სუფთა წყლის პრობლემა მსოფლიოში. ტრენერი ბავშვებთან ერთად განიხილავს, რომ სუფთა წყალზე ხემისაწვდომობა კვლავ რჩება კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევად; 1 000 000 000 -ზე მეტ ადამიანს ხელი არ მიუწვდება სუფთა წყალზე; თუკი წყალი დაბინძურებულია, დაავადებების რისკი მაღალია)

აქტივობა # 5 წყლის რესურსების გადანაწილება საქართველოში

- ტრენერი ბავშვებთან ერთად განიხილავს წყლის რესურსების გადანაწილებას საქართველოში. ახსნის, რომ საქართველო წყლის რესურსებით მდიდარი ქვეყანაა, რომ წყალი ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი და სტრატეგიული რესურსია. წყლის რესურსების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია დასავლეთ საქართველოში. ჩვენ გვაქვს 26 000 - ზე მეტი მდინარე, 860-მდე ტბა და ჭაობები, რომლის საერთო ფართობი 225 000 ჰა შეადგენს.
- ტრენერი ასევე რამდენიმე სიტყვით ბავშვებს აუხსნის რა გზას გადის წყალი, სანამ ის სასმელ პროდუქტად გადაიქცევა და ჩვენს ონკანებამდე მოაღწევს.

აქტივობა # 6 როგორ დავზოგოთ წყალი ყოველდღიურ ცხოვრებაში

ტრენერი ბავშვებს გაუზიარებს პრაქტიკულ რჩევებს თუ როგორ უნდა დაზოგონ წყალი ყოველდღიურ ცხოვრებაში. რამდენიმე მოკლე რჩევა მაგალითისთვის:

- დავკეთოთ ონკანი, როცა კბილებს ვიხეხავთ.
- აბაზანის ნაცვლად მივიღოთ შხაპი, ამ დროს გაცილებით ნაკლები წყალი იხარჯება და შესაბამისად ნაკლები წყალი ბინძურდება.
- შევაკეთოთ გაფუჭებული ონკანები. გაფუჭებული ონკანებიდან ყოველდღიურად ტყუილად იკარგება 25 ლ წყალი; წლიური მაჩვენებელი კი 9000 ლ - ია.

აქტივობა # 7 მიღებული ინფორმაციის განმტკიცება

რატომ უნდა დავზოგოთ წყალი?

- მტკნარი წყლის მარაგი დედამიწაზე ძალიან ცოტაა.
- სასმელი წყლის მისაღებად ბევრი დრო, ადამიანური და ფინანსური რესურსია საჭირო.
- დადებითად აისახება ჩვენ ფინანსურ დანახარჯებზე
- რაც უფრო ნაკლებს მოვიხამართ, მით უფრო ნაკლებს დავაბინძურებთ
- წყალი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის;
- 1 000 000 000 მეტ ადამიანს არ მიუწვდება ხელი სუფთა სასმელ წყალზე;

ტრენინგი დასრულდება სამოტივაციო ვიდეოთი

Water – nature is speaking

<https://www.youtube.com/watch?v=fwV9OYeGN88&t=8s>

ნარატორი - პენელოპე კრუზი.

ტრენინგი # 2 პრაქტიკული სამუშაოები

ცდები წყლის დაბინძურებაზე

ხანგრძლივობა - 45 წუთი

აქტივობა # 1

როგორ განვათავსოთ ნივთები წყლის ზედაპირზე

დაგჭირდებათ

- სკრეპები
- წყლით სავსე ჯამი
- ჭურჭლის ჟელე

ამოცანა: სკრეპები ისე უნდა განათავსოთ წყლის ზედაპირზე რომ არ ჩაიძიროს.

ახსნა - წყალს აქვს ე.წ. მოჭიმული ზედაპირი. როდესაც წყალი სუფთაა ნივთები ამ მოჭიმული ზედაპირის საშუალებით ადვილად ჩერდება წყლის ზედაპირზე. ამისთვის საჭიროა სკრეპები ძალიან ფრთხილად მოათავსოთ ზედაპირზე, ისე რომ მისი მოჭიმულობა არ დაირღვეს. თუ ამას სწრაფად და გაუფრთხილებლად გააკეთებთ ზედაპირი აუცილებლად გაირღვევა და სკრეპები წყალში აღმოჩნდება. როგორც კი წყალში დაამატებთ ჭურჭლის ჟელეს (დააბინძურებთ წყალს), ნახავთ რომ მოჭიმული ზედაპირი გაირღვევა და სკრეპები ჩაიძირება. ალბათ გინახავთ ნემსიყლაპიები წყლის ზედაპირზე რომ ჩერდებიან, ამას ისინი სწორედ წყლის მოჭიმული თხელი ფენი საშუალებით აკეთებენ. ამიტომ ბუნებაში წყლის სისუფთავის ინდიკატორად ნემსიყლაპიების ეს უნარი შეიღძლება მივიჩნიოთ.

ექტივობა # 2

როგორ ერევა ერთმანეთს წყალი და ზეთი

დაგჭირდებათ

- წყლით სავსე ჯამი
- საჭმლის ზეთი
- ჭურჭლის ჟელე
- კოვზი ან ჩხირი მოსარევად

ამოცანა- წყალში ჩაასხით ზეთი და მოურიეთ, დააკვირდით, ნახავთ რომ ეს ორი ნივთიერება არ ერევა ერთმანეთს, ზეთი წყლის ზედაპირზე მე-2 ფენად დაჯდება. ამის შემდეგ აიღეთ ჭურჭლის ჟელე, ჩაასხით და მოურიეთ. ნახავთ რომ წარმოიქმნება პაწაწინა ბუმბუკები და ზეთი წყალს შეერევა.

ახსნა - როგორც ხედავთ ბუნებრივად წყალი ცხიმს არ ერევა. თუმცა როგორც კი მას შეურევთ ქიმიური ნივთიერებას და დავაბინძურებთ, წყლის მოჭიმული ზედაპირი ირღვევა და ნივთიერებები ერთმანეთს ერევა. თუკი გარეცხვისას ჭურჭელს დავაკვირდებით, ვნახავთ რომ მხოლოდ სუფთა წყალი მის ზედაპირს ცხიმს არ აშორებს, თუმცა როგორც კი გამოვიყენებთ ჭურჭლის ჟელეს ან ცხელ წყალს, მოჭიმული ზედაპირი ირღვევა და ცხიმი შორდება.

აქტივობა # 3

წიწაკა წყლის ზედაპირზე

დაგჭირდება

- დაფქვილი წიწაკა ან სუნელი
- წყლით სავსე თეფში ან ჯამი
- ჩხირი
- ჭურჭლის ჟელე

ამოცანა: წყლის ზედაპირს მოაყარეთ წიწაკა ან სუნელი. ნახავთ რომ ის მთელ ზედაპირზე გაიშლება. ამის შემდეგ, დაასხით 1 წვეთი ჭურჭლის ჟელე, დააკვირდით, ნახავთ რომ წიწაკა მოძრაობას თეფშის კიდეებისკენ დაიწყებს. ეს იმიტომ რომ როგორც კი წყალი ჟელეთი დაბინძურდა, წყლის მოჭიმულობა შესუსტდა და წიწაკამ მოძრაობა კიდეებისკენ დაიწყო, სადაც წყლის მოჭიმულობა უფრო ძლიერი და სტაბილურია. თუ თქვენ კვლავ ჩაასხმათ ჭურჭლის ჟელეს, ნახავთ რომ წიწაკა ნელნელა ჩაძირვას დაიწყებს.

თემატური სესიები

ხანგრძლივობა - 1 საათი

სემინარი: ჰაერის დაბინძურება საყოფაცხოვრებო ნარჩენების წვით

მიზანი: ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება შემდეგ თემატიკაზე:

- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი ანთროპოგენული წყაროები, დამაბინძურებლების გავლენა ჯანმრთელობაზე.
- ჰაერის დაბინძურება საყოფაცხოვრებო ნარჩენების წვით და მისი შემცირების გზები.

სემინარის გახსნა: 3 წუთი

მისალმება, ტრენერის წარდგენა; სემინარის თემის, მიზნების, განსახილველი საკითხებისა და მეთოდოლოგიის წარდგენა

შესავალი: 15 წუთი

ატმოსფერული ჰაერი და მისი დაბინძურების ანთროპოგენული წყაროები

„ბრეინშტორმინგი“ თემაზე - (10 წთ) სავარაუდო კითხვები: რა არის ატმოსფერო? სად მდებარეობს ის? რისგან შედგება ჰაერი? რა აბინძურებს ჰაერს? გამოვეყოთ დაბინძურების ძირითად წყაროებს

თემის შეჯამება და ინტერაქტიული პრეზენტაცია თემაზე (5 წთ)

ინტერაქტიული პრეზენტაცია: 25 წუთი

თემა 1: ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებლები და მათი გავლენა ჯანმრთელობაზე (10 წთ)

მოკლე ვიდეო: ჰაერის დაბინძურება საქართველოში (10 წთ)

თემა 2: ჰაერის დაბინძურება საყოფაცხოვრებო ნარჩენების წვით და მისი გავლენა ჯანმრთელობაზე

დისკუსია: როგორ შევამციროთ ჰაერის დაბინძურება - რა შეგიძლია გააკეთო შენ (5 წთ)

პრაქტიკუმი: სემინარის ოთახში გარემოს სიჯანსაღის შემოწმება შემდეგ პარამეტრებზე: ნახშირორჟანგის შემცველობა; განათება, ტემპერატურა, ხმაური,

რეკომენდაციები და შეჯამება (5 წთ)

შესვენება:

„ეჯერჯაიზერი“ - 10 წუთი

ტრენინგისთვის საჭირო მასალები	<ul style="list-style-type: none">• პროექტორი• ლეპტოპი• მარკერები• ფლიპჩარტის ქაღალდი• დაფა 2 ცალი• კალმები• ფერადი სტიკერები• თვალსაჩინოებები• ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ხელსაწყოები
--------------------------------------	--

პუბლიკაციები

1. გზამკვლევი „კომპოსტირება საოჯახო პირობებში“
http://www.cleanup.ge/documents/composting_ecovision_2014.pdf
2. გზამკვლევი „ნარჩენების დახარისხება“
http://www.cleanup.ge/documents/waste_sep_handbook_kids.pdf
3. გზამკვლევი „ნარჩენების გადამუშავება“
http://ecovision.ge/uploads/files/2014-10/1412245560_waste_recycling_book_for-kids.pdf
4. გზამკვლევი „აირჩიე ენერგოეფექტურობა“
<http://spareworld.org/images/pdf/7470webcomiz01.pdf>
5. გზამკვლევი „მოვემზადოთ ზამთრისთვის“
<http://spareworld.org/images/pdf/2841webcomix02.pdf>
6. გზამკვლევი „როგორ დავრგათ ხეები სწორად“
http://ecovision.ge/uploads/files/2015-12/1449432265_rogor-davrgat-xeebi-sworad.pdf
7. სახელმძღვანელო „ჩვენ და ენერჯია“
<http://spareworld.org/images/pdf/9130WeandEnergy.pdf>
8. ლექსების კრებული „დედამიწის დღე არის ყოველდღე“
http://ecovision.ge/uploads/files/2014-09/1411035981_wigni_leqsebi_21.pdf
9. ზღაპარი „ჩვენ ნარჩენები და დანარჩენები“
http://ecovision.ge/uploads/files/2014-05/1398956496_story-about-waste-zghapari-chven-narchenebi-da-danarchenebi.pdf
10. ლექსების კრებული „დედამიწის ჩივილი“
http://ecovision.ge/uploads/files/2014-05/1398948893_verses-about-waste_leqsebi-narchenebis-shesakheb.pdf